

აჭარაში აფხაზი თემის საჭიროებების კვლევა

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

აჭარაში აფხაზი თემის საჭიროებების კვლევა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2023

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Federal Department of Foreign Affairs FDFA

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კვლევა მომზადდა პროექტის „საქართველოში თანასწორობის, სოლიდარობის და სოციალური მშვიდობის მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი ახორციელებს.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და და შესაძლოა ის არ გამოხატავდეს შვეიცარიის საელჩოს პოზიციას.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

ავტორი: ოჩი კონცელიძე

რედაქტორი: ნინო კალატოზიშვილი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ოჩი კონცელიძე, „აჭარაში აფხაზი თემის საჭიროებების კვლევა“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია..... 4

შესავალი 5

აფხაზი მუჰაჯირების მემკვიდრეობა 6

აფხაზური ენის შენარჩუნების საკითხი 8

სამოქალაქო ინტეგრაცია და პოლიტიკური მონაწილეობა.....10

1992-93 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტების გავლენა.....11

კავშირები აფხაზეთთან.....13

მშვიდობის სამომავლო პერსპექტივები 14

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია აჭარაში მცხოვრები აფხაზი თემის საჭიროებების შესწავლა. კვლევითი პროექტის ფარგლებში შემდეგი საკითხები იქნა გამოკვლეული:

- აჭარაში აფხაზი თემის ძირითადი საჭიროებები;
- აჭარაში აფხაზი თემის სამოქალაქო ინტეგრაცია და პოლიტიკური მონაწილეობა;
- 1992-93 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გავლენა ადგილობრივ თემზე;
- ადგილობრივი თემის კავშირები აფხაზეთთან;
- კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გრძელვადიანი ხედვა თემში.

კვლევის მეთოდი და გეოგრაფიული არეალი

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი – სიღრმისეული ინტერვიუ.ჩატარდა **7 სიღრმისეული** და **4 ჯგუფური** ინტერვიუ. ჯამში, გამოიკითხა სხვადასხვა ასაკისა და სქესის 16 რესპონდენტი (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში #1). გამოკითხვა წარმოებდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიასა და ქალაქ ბათუმში მცხოვრებ აფხაზური და შერეული (ქართულ-აფხაზური) ოჯახების წარმომადგენლებთან. /გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიასა და ქალაქ ბათუმში მცხოვრები აფხაზური და შერეული (ქართულ-აფხაზური) ოჯახების წარმომადგენლები. კვლევაში გამოკითხული რესპონდენტების ასაკობრივი ჯგუფები სამ კატეგორიად დაიყო: ახალგაზრდები – 18-35, საშუალო – 36-55 და უფროსი – 56+ ასაკის რესპონდენტები. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ღია კითხვებისგან შედგენილი ინტერვიუს გზამკვლევი.

ცხრილი#1

ასაკობრივი ჯგუფები	გენდერი	
	ქალი	კაცი
18-35	2	2
36-55	2	2
56+	6	2

საველე სამუშაოები

რესპონდენტების შერჩევა მოხდა მიზნობრივად და მხოლოდ ის რესპონდენტები გამოიკითხნენ, რომლებიც თავს აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლებად მიიჩნევენ. ინტერვიუები ჩაიწერა აუდიოსაშუალებით მხოლოდ ერთადერთი მიზნით, რომ ანალიტიკურ ანგარიშში მოხვედრილიყო კვლევისთვის ღირებული ყველა ინფორმაცია. მონაწილეთა კონფიდენციალურობა დაცულია. რესპონდენტების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (სახელი, გვარი და ა.შ.) ანალიტიკურ ანგარიშში წარმოდგენილი არ არის.

მონაცემთა ანალიზი: ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი რამდენიმე საფეხურს მოიცავდა: პირველ ეტაპზე გაიშიფრა ჩანაწერებიდა ტრანსკრიპტების მომზადება. შემდეგი ეტაპი მოიცავდა მონაცემების კოდირება/კატეგორიზაციას. ხოლო ანალიზის საბოლოო ეტაპზე მოხდა სტრუქტურირებული შინაარსის ცოდნის ლოკალური და ინკლუზიური ინტეგრაცია, რის საფუძველზეც მომზადდა ანგარიშის ჯერ სამუშაო, ხოლო შემდგომ – საბოლოო ვერსია.

შესავალი

მუჰაჯირი არაბულ ენაზე „გადასახლებულს“, „ემიგრანტს“ ნიშნავს და დაკავშირებულია მუსლიმი მოსახლეობის იძულებით მასობრივ გადასახლებასთან რუსეთის იმპერიიდან ოსმალეთის იმპერიაში. აფხაზების მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური ინტერესები იყო კავკასიაში, რაც გამოიხატებოდა ახლად მიერთებული ტერიტორიების დაცლის სურვილში არასანდო და წინააღმდეგობის გამწევი ეთნიკური ჯგუფებისგან (აფხაზების, უბიხების, ჯიქების...). რუსეთის იმპერიის პოლიტიკას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ეთნიკური ჯგუფების/ხალხების რელიგიური მიკუთვნებულობა. აფხაზები და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ზოგიერთი სხვა ეთნიკური ჯგუფი ისლამის რელიგიის მიმდევრები იყვნენ და ამდენად, რუსეთის იმპერიისთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ. „მუჰაჯირობის“ ხელშემწყობ ფაქტორად ოსმალეთის იმპერიის ინტერესებიც მიიჩნეოდა, რაც ვლინდებოდა ჩრდილოკავკასიელების (აფხაზებისა და მასთან მონათესავე სხვა ხალხების) სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების სურვილში. აფხაზების მუჰაჯირობა სამ ტალღად არის ცნობილი . ის 1864 წელს დაიწყო, 1866 წელს გაგრძელდა და 1877 წელს დასრულდა. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მუჰაჯირობისას დაახლოებით 40-50 000-მა აფხაზმა დატოვა საცხოვრებელი აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდის აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 80 000-ს შეადგენდა. ამდენად, „მუჰაჯირობის“ მასშტაბები და მისი გავლენა აფხაზეთის დემოგრაფიაზე თვალსაჩინოა[1].

აჭარაში ჩამოსახლებული აფხაზების შედარებით დიდი ჯგუფი პირველად 1866-67 წლებში გაჩნდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ 1866 წლის 26 ივლისს სოფელ ლიხნში ჩაახშო აფხაზების წინააღმდეგობა და აფხაზებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს აფხაზეთის ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დატოვება და ოსმალეთის იმპერიაში გადასახლება მოსთხოვა[2]. მუჰაჯირები აჭარაში მეორედ 1877 წელს დასახლდნენ, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე. აფხაზი მუჰაჯირების ნაწილმა აჭარა, რომელიც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, საცხოვრებლად რამდენიმე მიზეზის გამო შეარჩია: ა) საერთო რელიგია - ისლამი; ბ) აფხაზეთთან ტერიტორიული სიახლოვე და გ) აფხაზეთის მსგავსი კლიმატური პირობები. აფხაზების კომპაქტური დასახლებები ბათუმთან ახლოს მდებარე შემდეგ სოფლებში გაჩნდა: ა) ფეიზი (დღევანდელი ფერია), ბ) სილიბაური – (დღევანდელი სალიბაური) და ანკისი (დღევანდელი ანგისა, რომელიც ბათუმის საზღვრებშია მოქცეული). სხვადასხვა ცნობით, დღეს აჭარაში 1600-დან 2000-მდე აფხაზი ცხოვრობს[3].

აჭარაში დასახლებულმა აფხაზმა მუჰაჯირებმა თან შემოიტანეს მათი კულტურისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ელემენტები (რიტუალები, ჩვეულებები, კულინარია და ა.შ.) და ამავდროულად აითვისეს ადგილობრივი მოსახლეობის – აჭარლების ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. აღსანიშნავია, რომ აჭარლებთან საერთო სოციალური და კულტურული მახასიათებლების გამო, აფხაზების დამკვიდრების პროცესი სირთულეების გარეშე წარიმართა.

ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხი დღეს უაღრესად აქტუალურია მრავალი ეთნიკური ჯგუფისთვის და ამდენად, აუცილებელია განიხილებოდეს არა მხოლოდ ისტორიულ-კულტურულ, არამედ სოციალურ-კულტურულ კონტექსტშიც. ეს განსაკუთრებით შეეხება

---

[1] [illegible] – http://historyproject.ge/ge/archivememoryresearch/article/470/?cat_id=40

[2] The historical transformation of identity of the Abkhazian Muhajirs, living in Adjara https://core.ac.uk/download/pdf/236388618.pdf

[3] [illegible], 2014 [illegible] „[illegible]“ [illegible], [illegible] [illegible]. [illegible], [illegible] [illegible] – https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi [illegible], [illegible] ([illegible]) [illegible].

მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც სწრაფად ცვალებად სამყაროში თვითგადარჩენის სტრატეგიების ძიებას ცდილობენ. ამის გათვალისწინებით საინტერესოა აჭარაში მცხოვრები აფხაზი თემის მემკვიდრეობა და იმ საჭიროებების შესწავლა, რომლებიც სოციალურ-კულტურულთან ერთად, უფლებრივ საკითხებს და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ მონაწილეობას შეეხება. მხედველობაშია მისაღები 1992-93 წლების კონფლიქტის შედეგები, რომელმაც აჭარაში მცხოვრებ აფხაზებზეც იქონია გავლენა. ამდენად, საინტერესოა აჭარაში მცხოვრები აფხაზების იმდროინდელი გამოცდილების გამოკვლევა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ მათი ხედვების გაგება.

აფხაზი მუჰაჯირების მემკვიდრეობა

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების შეფასებით, აფხაზი მუჰაჯირების მემკვიდრეობას, ძირითადად, სოციალური და კულტურული მახასიათებლები აქვს. კერძოდ, დღესდღეობით მუჰაჯირობის მემკვიდრეობა ვლინდება: **1) ისლამის რელიგიის შენარჩუნებაში;** იქვე აღნიშნავენ, რომ ისლამი, ძირითადად, საშუალო და უფროსი ასაკის აფხაზებში ნარჩუნდება, ახალგაზრდებში კი თვალსაჩინოა გაქრისტიანების ტენდენცია. რელიგიური მიკუთვნებულობის მიუხედავად, ოჯახებში მუსლიმური ტრადიციები სრულდება – *„გარდაცვლილების პატივისცემად მზადდება აფხაზური ჰალვა, რომც იყვნენ ქრისტიანები, ამზადებენ და ტრადიციას ინარჩუნებენ. (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).* 2) მუჰაჯირების მემკვიდრეობის კიდევ ერთი გამოვლინებაა **ოჯახურ როლებს შორის იერარქიის დაცვა,** რაც გამოიხატება უფროსი ასაკის კაცების განსაკუთრებულ პატივისცემაში, მათ მოსმენასა და აზრის გათვალისწინებაში და ა.შ. – *„თუმცა უფროსების პატივისცემა მხოლოდ აფხაზი მუჰაჯირების წესი არ არის. აჭარლებშიც ძალიან მიღებულია“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფი; კაცი).* **3) მუჰაჯირი წინაპრების ხსოვნისადმი პატივის მიგება.**

> *„აფხაზი მუჰაჯირები ფელუკებით (ლაზური ნავი) წამოვიდნენ აფხაზეთიდან, მაგრამ ოსმალეთის სანაპიროზე არ უშვებდნენ იმათ, ვინც ასკერობაზე (ოსმალეთის ჯარში მსახურებაზე) უარს ამბობდა ან ჯარისთვის შეუფერებელი იყო. ბევრი დარჩა და ჩაიძირა და თევზის კერძად იქცა, რის გამოც დაახლოებით 1000-მდე კაცი, ქალი და ბავშვი პირველივე ტალღიდან დაიღუპა. მათ ხსოვნას მივაგებთ პატივს“ (კაცი; 55+ ასაკობრივი ჯგუფი).*
>
> *„შიშ ნანი“ ხალხური აფხაზური სიმღერაა, რომელსაც მუჰაჯირების გემზე დედა პატარა მკვდარ ჩვილს უმღეროდა გაუჩერებლად, რომ ჩვილი არ ჩაეგდოთ ზღვაში და დაესაფლავებინათ“ (აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალი ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

4) აფხაზების ერთი ნაწილი დღემდე ერიდება **თევზის მირთმევას** – *„ოსმალთა მიერ გემიდან შავ ზღვაში ჩაყრილი აფხაზი ტყვეების (ბავშვებისა და მოხუცების) ხსოვნის უკვდავსაყოფად“;* **5) აფხაზური კულინარიის ტრადიციები**, რომლებიც, რესპონდენტების შეფასებით, ყველაზე უკეთ არის შემონახული. აფხაზური სამზარეულოსთვის დამახასიათებელია შებოლილი პროდუქტები – ყველი და ხორცი. ამიტომ სოფლად ოჯახებს მოწყობილი აქვთ შესაბოლი კუთხეები. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზური ჰალვა. მისი მომზადებისას ქალი აუცილებლად თავსაბურავს იხვევს თავზე. ჰალვას მიცვალებულების მოსახსენიებელ დღეებში ამზადებენ, თუმცა დესერტის სახითაც მზადდება (შემადგენლობაა: ფქვილი, კარაქი, შაქარი და წყალი). ასევე, გამოარჩევენ „აბსთნას“, რომელიც მეგრული ღომისა და „აჩამუქას“ (მეგრული ელარჯის) მსგავსია. „აყუთ-აწუხალა“ ლობიოსა და საქონლის ხორცისგან მზადდება. აჯიკა აფხაზური სამზარეულოს აუცილებელი ატრიბუტია, რომელიც წარმოადგენს წიწაკის, ნივრის, ქონდრის, ქინძისა და სხვადასხვა სანელებლის ნაზავს; **6)** ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში **აფხაზი მუჰაჯირების კომპაქტური დასახლებები** მუჰაჯირების კიდევ ერთი თვალსაჩინო მემკვიდრეობაა. თუმცა

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სოფლის ტიპის კომპაქტური დასახლებები (ანგისა, ადლია, „ლუდის ქარხნის დასახლება“) ნელ-ნელა ქრება. დაჩქარებული ურბანიზაციის პროცესის გამო, ირღვევა დასახლების სოციალური ქსოვილი – *„რამდენიმე წელიწადში ბათუმის ზოგიერთ უბანში აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლების კომპაქტური დასახლება აღარ იარსებებს“.* რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სოფლისგან განსხვავებით, ქალაქში რთულია იდენტობის შენარჩუნება, რადგან დომინანტურ კულტურასთან ასიმილაცია სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მით უფრო მაშინ, როდესაც ასიმილაციის შემაკავებელი მექანიზმები არ არსებობს; **7) კავშირების შენარჩუნება უცხოეთში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლებთან**; მუჰაჯირების შთამომავლებს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აქვთ თურქეთში, სადაც აჭარის აფხაზ მუჰაჯირებს ნათესავები ეგულებათ – *„ჩემი გვარის წარმომადგენელი რამდენიმე ოჯახში ცხოვრობს ბათუმში. უმრავლესობა კი, 300-მდე, თურქეთში, იზმირშია. ურთიერთობა გვაქვს, გვპატიჟებენ და ისინიც ჩამოდიან მოსანახულებლად“ (კაცი; 55+ ასაკობრივი ჯგუფი).* აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში, 1930-იანი წლებიდან საზღვრების გახსნამდე, უცხოეთში მცხოვრებ ნათესავებთან კავშირი გაწყვეტილი იყო.

მუჰაჯირების ზოგიერთმა ტრადიციამ და წეს-ჩვეულებამ დროს ვერ გაუძლო. ასეთია, მაგალითად: ა) აფხაზურ ოჯახებში სტუმრის გაცილების წესი – *„სტუმრის გაცილება გაჩერებამდე. მთელი ოჯახი მიჰყვებოდა, სანამ მანქანაში არ ჩაჯდებოდა სტუმარი და არ წავიდოდა“;* ბ) აკვანში დანიშვნა, რაც ძალიან გავრცელებული იყო აფხაზ მუჰაჯირებში; გ) ოჯახებში ე.წ. დამუნჯების ტრადიცია, როდესაც რძალს მამამთილ-დედამთილისთვის ხმის გაცემის უფლება არ ჰქონდა და ა.შ.

დასახელდა ისეთი ტრადიციები, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამო ვეღარ სრულდება. ასეთია, მაგალითად, აფხაზეთიდან ნათესავების სტუმრად მიღების ტრადიცია – *„წელიწადში ორჯერ, ხან ისინი და ხან კიდევ ჩვენ იკარუსით, დიდი ავტობუსით, ჩავდიოდით ერთმანეთთან სტუმრად“.* ცალკეული საგვარეულოები წელიწადში ერთხელ აღნიშნავდნენ გვარის დღესასწაულს – *„ხარები იწვებოდა დიდ შამფურზე. ქვაბებში იხარშებოდა ღომი, „აბსთა“ (55+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი კაცი).*

რესპონდენტებს გული იმაზე სწყდებათ, რომ აფხაზური ფოლკლორის შენარჩუნება ვერ ხერხდება – *„პოპულარიზაციის გარეშე, ფოლკლორის შენარჩუნება ვერ მოხერხდება. ასაკოვანი ხალხი, რა თქმა უნდა, ასრულებდნენ აფხაზურ სიმღერებს და მონათხრობებიც გვახსოვს მათი, მაგრამ დღეს ეს უკვე წარსულია“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

აჭარაში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები ერთმანეთთან ურთიერთობას ინარჩუნებენ, ძირითადად კულტურული და შემეცნებითი ღონისძიების ანდა ისტორიული მნიშვნელობის თარიღების გასახსენებლად/აღსანიშნად იკრიბებიან.

> *„მუჰაჯირობის დღესთან დაკავშირებით, ან თუნდაც კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებას ვესწრები ხოლმე. ვცდილობ, რომ არ გამოვტოვო იმიტომ, რომ ძირითადად აფხაზები ვიკრიბებით. სასარგებლო ინფორმაციას ვიღებ“ (ქალი; 18-35 ასაკობრივი ჯგუფი).*

რესპონდენტების მონათხრობიდან ჩანს, რომ **ღონისძიებებს ესწრებიან, ძირითადად, უფროსი ასაკის ერთი და იგივე ადამიანები. ამდენად, არსებობს აფხაზი ახალგაზრდების საკითხებით დაინტერესების საჭიროება**.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ **აფხაზი მუჰაჯირების მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად ბათუმში აფხაზური კულტურის სივრცის დაარსების საჭიროება არსებობს**[4], სადაც წარმოდგენილი იქნება აფხაზთა მუჰაჯირობის ისტორია და კულტურული თავისებურებები (ტრადიციები, ადათები, წეს-ჩვეულებები, ზეპირი ისტორიები, ფოლკლორი და ა.შ.). *„აფხაზმა იგრძნოს, რომ თავის სამშობლოშია, თავის გარემოცვაშია“ (55+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი კაცი).* ამის გარდა, სივრცე გამოყენებული იქნება სხვადასხვა ღონისძიებისთვის (კულტურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო და ა.შ.). კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტი **აფხაზური კულტურის სახლის კონცეფციას აფხაზურ-ქართული ურთიერთობის კონტექსტშიც განიხილავს და აღნიშნავს, რომ სივრცე შესაძლებელია იქცეს აფხაზეთიდან ჩამოსული სტუმრებისა და ადგილობრივების შეხვედრის ადგილად.**

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ერთ-ერთმა რესპონდენტმა **აფხაზური სახლის დაარსების ინიციატივით, აჭარის მთავრობას მიმართა, თუმცა უშედეგოდ** – *„ეს უარი ყველა აქაურმა აფხაზმა იცის და სკეპტიკური დამოკიდებულება შეიქმნება. არადა, ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესი უნდა იყოს აფხაზების დაინტერესება“ (55+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი კაცი).*

კიდევ ერთი საჭიროება, რაზეც რესპონდენტები ამახვილებენ ყურადღებას, **აფხაზი მუჰაჯირების ხსოვნის უკვდავსაყოფად ბათუმში მემორიალის დადგმაა**.

> *„მუჰაჯირები ვართ ჩვენ და ხშირად ამ ტერმინით აპელირება ხდება, მაგრამ არ გვაქვს მემორიალი, ადგილი, სადაც, ყოველი წლის 21 მაისს პატივს მივაგებთ ჩვენს წინაპრებს, რომლებიც ათასობით დაიღუპნენ შავ ზღვაში“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

რესპონდენტები გულისტკივილს გამოხატავენ აფხაზების მუჰაჯირობის შესახებ ახალგაზრდების არაინფორმირებულობის გამო – *„ბოლოს, 21 მაისს რომ დავესწარი ზღვაში თაიგულის გაშვებას, ახალგაზრდებიდან მხოლოდ რამდენიმე ვიყავით და მეწყინა“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).* რესპონდენტების შეფასებით, აფხაზი მუჰაჯირების ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით, კარგი იქნება, თუ **მომზადდება ფოტოალბომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მუჰაჯირობის 160- წლიანი ისტორიის ფოტომასალა.** ასევე, სასურველია **ცნობარის შექმნა, აფხაზური გვარების ისტორიის შესახებ.**

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები აჭარაში მუჰაჯირების ისეთ შთამომავლებს იცნობენ, რომლებიც აფხაზური გვარის მიუხედავად, თავს აფხაზებად არ მიიჩნევენ. კვლევის შედეგად გამოვლინდა ტენდენცია, რომ შერეული – ქართულ-აფხაზური ოჯახებისთვის აფხაზური კულტურის დაკარგვა ნაკლებად მტკივნეულია, რადგან ორ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ – *„აფხაზური რომ არ ვიცი, ეს ჩემთვის ტრაგიკული არაა, იმიტომ, რომ დედა ქართველი მყავს და ორი ენის წარმომადგენელი ვარ“ (55+ ასაკობრივი ჯგუფი; კაცი).*

აფხაზური ენის შენარჩუნების საკითხი

აფხაზი მუჰაჯირების მემკვიდრეობაზე საუბრისას რესპონდენტები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ **აფხაზური ენის შენარჩუნებას ვერ ახერხებენ და დროთა განმავლობაში სულ უფრო ცოტა აფხაზს ეცოდინება აფხაზური ენა.** ცოტაა იმ ადამიანების რაოდენობაც, ვინც აფხაზური ენა თუნდაც სასაუბრო დონეზე იცის. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ **აფხაზური ენის მივიწყებას ხელს უწყობს აფხაზური ენის მცოდნეთა მცირე რაოდენობა და თემში აფხაზური ენის სწავლის მოტივაციის არქონა/არარსებობა.** რესპონდენტები საქართველოს კონსტიტუციაზე აპელირებენ და

[4] [illegible] – [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible].

აღნიშნავენ, რომ აფხაზური ენა, ქართულთან ერთად, სახელმწიფო ენას წარმოადგენს და სახელმწიფოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს ენის პოპულარიზაციასა და მის სწავლებას.

აჭარაში აფხაზური ენის შესასწავლი კურსების დაარსების იდეა 1960-70-იანი წლებიდან არსებობდა, თუმცა აფხაზური ენის პირველი შემსწავლელი საკვირაო სკოლა მხოლოდ 2005 წელს გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მე-14 საჯარო სკოლაში აფხაზური ენა აღარ ისწავლება, რადგან მასწავლებელმა, ოჯახური პირობების გამო, სამუშაოს თავი დაანება, ახლით ჩანაცვლება კი ვერ ხერხდება. აფხაზურ ენას სწავლობენ სოფელ ფერიის საჯარო სკოლის მეექვსე-მეათე კლასის მოსწავლეები, რომელთა რაოდენობა თითოეულ კლასში 14-20-ის ფარგლებში მერყეობს. აფხაზური ენის შესწავლის მთავარი მიზანი ენის სასაუბრო დონეზე ცოდნაა, ხოლო მოტივაცია – აფხაზური იდენტობის შენარჩუნება და აფხაზეთში თანატოლ ნათესავებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. **მთავარი საჭიროება, რომელიც საკვირაო სკოლის დაარსებიდან დღემდე არსებობს, აფხაზური ენის კვალიფიციური პედაგოგების ყოლაა, რომლებსაც შესაბამისი კომპეტენცია ექნებათ აფხაზური ენის სწავლებისთვის. რესპონდენტები, ასევე, აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოების სიმცირეზეც მიუთითებენ.**

აფხაზური იდენტობის შესანარჩუნებლად უფროსი თაობა შეეცადა, გარიგებით წაეხალისებინა აფხაზური ოჯახების შექმნა, სადაც ქალი მეუღლე აფხაზეთიდან, ხოლო კაცი ადგილობრივი მუჰაჯირი აფხაზის შთამომავალი იქნებოდა.

> *„მუჰაჯირებში მალევე გაჩნდა კითხვა – ჩაკეტილ თემში, რომელიც აჭარის ტერიტორიაზეა, რამდენად შეძლებდნენ დაქორწინებას ერთმანეთში? ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აფხაზური ენა ნელ-ნელა დაიკარგებოდა. ამიტომ, 1970-იან წლებში უკვე ჩამოყალიბდა გარიგებით ქორწინების პრაქტიკა. პროცესი კი 1950-60-იანი წლებიდან დაიწყო“ (აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალი ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*
>
> *„2 ახალი ოჯახი გვაქვს, ჩვენი რძლები აფხაზეთიდან, რომლებიც ქართველებს გაჰყვნენ ცოლად, აჭარლებს“.*

იმის დაზუსტება, რომ აფხაზებმა აჭარლებთან შექმნეს ოჯახები, მნიშვნელოვანი ნიუანსია, რადგან, როგორც კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ამბობენ, აფხაზეთში აჭარის მიმართ ისეთი მიუღებლობა არ არის, როგორიც, მაგალითად, თბილისის, როგორც პოლიტიკური ცენტრის, მიმართ – *„ძალიან საინტერესო რაღაცაა ეს, მათთვის [აფხაზეთში მცხოვრები აფხაზებისთვის] აჭარა მისაღებია, თბილისი სულ სხვა განზომილებაა“ (აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალი ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).* აჭარისა და აჭარლების მიმართ მიმღებლობას რესპონდენტების ერთი ნაწილი იმით ხსნის, რომ აფხაზური თემი ათწლეულებია, აჭარაში ცხოვრობს, მათ მიმართ არსებობს ნდობა და ამდენად, აფხაზებისთვის უსაფრთხო გარემოა – *„აქ ეგულებათ მათიანები. თემი მაინც თავის როლს ასრულებს. იციან, რომ აქ უსაფრთხოდ არიან“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).* აფხაზური ოჯახების შექმნის ხელშეწყობის პრაქტიკა ნელ-ნელა ქრება. აფხაზეთიდან აფხაზი ცოლის შერთვის ბოლო შემთხვევა 2013 წელს იყო. რესპონდენტები ამას დღევანდელი ახალგაზრდების გადაწყვეტილებით ხსნიან, რომლებსაც ოჯახების შექმნა გარიგებით არ სურთ – *„დღევანდელ ახალგაზრდებს სხვა ხედვები აქვთ. ისინი ვინმესთან ოჯახს არ შექმნიან იმის გამო, რომ ასე სურთ მათ მშობლებს. სხვა თაობაა“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აფხაზური ენა შედარებით შენარჩუნებულია იმ ოჯახებში, სადაც უფროსი თაობა ცხოვრობს. მათივე შეფასებით, აფხაზური ენის ცოდნის დონე დამოკიდებულია შერეულ ოჯახში დედის ეროვნებაზე. დედა თუ ქართველია, მაშინ შვილებმა აფხაზური ენა ცუდად ან საერთოდ არ იციან, ხოლო, თუ დედა აფხაზია, შვილები აფხაზურ ენას სასაუბრო დონეზე ფლობენ.

რესპონდენტებმა აფხაზური ენის ცოდნის პრაქტიკულ მნიშვნელობაზეც ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ **საკუთარი იდენტობის პატივისცემის გარდა, აფხაზური ენა შესაძლოა, საკომუნიკაციო ენა გახდეს აჭარისა და აფხაზეთის ახალგაზრდებს შორის ურთიერთობისას.** ადგილობრივმა ახალგაზრდებმა რუსული ნაკლებად იციან, შესაბამისად, ენის ბარიერის პრობლემა სულ უფრო მეტად იჩენს თავს.

> *„საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით იმართება ხოლმე აფხაზებსა და ქართველებს შორის შეხვედრები, სადაც სამუშაო ენა ძირითადად რუსულია. საქმე ის არის, რომ რუსული ენა სულ უფრო ცოტა ახალგაზრდამ იცის ჩვენთან“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).*

რესპონდენტების შეფასებით, სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებაა საჭირო, რომ მუჰაჯირების შთამომავლებმა თემის საჭიროებებზე ხმამაღლა ისაუბრონ.

> *„ხუთმაგი დატვირთვა იქნება, მე რომ საჯაროდ ვისაუბრო აფხაზური თემის შესახებ. ამას მე ვერ გავუმკლავდები. ეს ფუნქცია სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დღის წესრიგში შემოტანამ და გააქტიურებამ, შესაძლოა, პოლარიზაციის გაღრმავებას შეუწყოს ხელი – *„აფხაზურ საკითხებზე საუბარი შესაძლებელია, რაღაც ნაწილისთვის გადაჭარბებული და გამაღიზიანებელიც იყოს“.*

სამოქალაქო ინტეგრაცია და პოლიტიკური მონაწილეობა

გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ აჭარაში აფხაზი თემი რეგიონის საზოგადოებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული – *„არ მეგულება აფხაზი, რომელიც იზოლაციაში იმყოფება საზოგადოებისგან, სოციუმისგან“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).* ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდა თაობას, რომელსაც – *„უკვე მოშლილი აქვს აფხაზსა და ქართველს შორის ზღვარი“.* აფხაზი ახალგაზრდების ინტეგრაციის მაღალი მაჩვენებელი შუა და უფროსი ასაკის რესპონდენტთა ერთი ნაწილისთვის სასიამოვნოსთან ერთად მტკივნეულიც არის – *„,,მიხარია, როცა ვხედავ, კომფორტულად რომ გრძნობენ თავს ახალგაზრდები, თუმცა, ამავდროულად, გულდასაწყვეტია, როცა აფხაზური იდენტობა იკარგება – ენა, ტრადიციები და ა.შ.“ (ქალი,36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ინტერვიუს დროს აფხაზური წარმოშობის კონკრეტული პირები დაასახელა, რომლებიც საჯარო სამსახურებში წამყვან თანამდებობებზე მუშაობენ, თუმცა, როგორც სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები აჩვენებს, **აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე - როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე – არასოდეს ყოფილან წარმოდგენილნი და არც ახლა არიან.**

> *„სკოლის და საავადმყოფოების დირექტორები იყვნენ აფხაზი მუჰაჯირების წარმომადგენლები, მაგრამ პოლიტიკური თანამდებობის პირები მე არ მახსენდება“ (აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალი ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

ამის მიზეზი შესაძლოა რამდენიმე იყოს: ა) **თავად თემში მოტივაციის ნაკლებობა,** რასაც განაპირობებს აფხაზების მიმართ საზოგადოების ერთი ნაწილის კრიტიკული დამოკიდებულება – *„ვიღაცამ შეიძლება თქვას – „შენი რა საქმეა“, „შენი გადასაწყვეტი არ არის“ (ქალი; 55+ ასაკობრივი ჯგუფი)* ბ) **აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლების მცირე რაოდენობა და** გ) **პოლიტიკური პარტიების მხრიდან ინტერესის არქონა.** ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიების პრიორიტეტში არ ხვდებიან აფხაზები.

„რაოდენობრივად რომ ავიღოთ, 2000 ადამიანიდან 1 ადამიანი შეიძლება ჰყავდეს, მაგრამ ისიც არ არის. პოლიტიკური ელიტა ახორციელებს რეკრუტირებას და შერჩევის პროცესში ინტერესს ვერ ხედავს“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).

აფხაზი მუჰაჯირების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აფხაზეთში.

„რომ ჩავდივარ სოხუმში, ხშირად მეუბნებიან, იქ ადგილზე ხარ და არ ხარ წარმოდგენილი პოლიტიკურ ელიტაში, ჩვენ აქედან ასე ვხედავთ ამასო“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).

ასევე, აფხაზეთში აინტერესებთ, როგორია საქართველოს სახელმწიფოს როლი აფხაზი მუჰაჯირების კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნების თვალსაზრისით და რამდენად დაცულია აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლების უფლებები და უსაფრთხოება. კვლევაში მონაწილე ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა აფხაზი მეგობრის სტუმრობის ამბავი: *„ყველაფერი აინტერესებდა – ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა... ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. ერთ დღეში უნდოდა ყველაფრის მოვლა და ნახვა. წასვლის წინ მითხრა, წარმოდგენა ცოტა (უკეთესობისკენ) შემეცვალა აქაურობაზეო“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).*

რესპონდენტები **ვერ იხსენებენ აფხაზური წარმომავლობის გამო მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის გამოცდილებას** – *„არცერთ ადამიანთან ურთიერთობის დროს არ მიგრძნია. ან თუნდაც სკოლაში“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი). „აფხაზების ქართველებისგან განსხვავება იმდენად რთულია, რომ გაუცხოების და, მით უფრო, შევიწროების გამოცდილებები არ მქონია“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).*

რესპონდენტებს ჰქონიათ შემთხვევა, **როდესაც ისინი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებული პირები ჰგონებიათ** – *„აფხაზური გვარი რომ მქონდა, ფიქრობდნენ, რომ ვიყავი ლტოლვილი. მაშინ ისიც არ ვიცოდი, რა იყო ლტოლვილი, მაგრამ ვამბობდი, რომ მე აქ დაბადებული აფხაზი ვარ“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).* გამოკითხვაში მონაწილე ახალგაზრდა კაცი საქართველოს ჯარში მსახურების პერიოდს იხსენებს: *„ჩემი გვარი მეგრულის მსგავსია და რომ ვამბობდი, აფხაზი ვარ-მეთქი, არ იჯერებდნენ, რამდენიმეჯერ მომიწია ჩემი გვარის ისტორიის მოყოლა. იმის გამო, რომ აფხაზი ვიყავი, ჯარში უარყოფითი დამოკიდებულება არ მიგრძნია. თუმცა აინტერესებდათ ჩემი აზრი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფი, კაცი).*

1992-93 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტების გავლენა

კვლევაში მონაწილე შუა და უფროსი ასაკის რესპონდენტებმა გაიხსენეს საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდი, როდესაც საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნო-ნაციონალისტურმა საკითხებმა წინა პლანზე წამოიწია. სწორედ ამ მოვლენებს უკავშირდება მოსახლეობის ერთ ნაწილში ეთნიკური აფხაზების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ფორმირება. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, იმ დროს **აფხაზეთიდან ჩამოსული პირები აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლებს, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აფხაზეთში საცხოვრებლად გადასვლას სთავაზობდნენ.** ერთ-ერთი რესპონდენტი იმ პერიოდის მოვლენებს შემდეგნაირად იხსენებს:

„1980-იანების ბოლოს მამაჩემთან იყვნენ ჩამოსული აფხაზეთიდან. უთხრეს, დროა უკვე, დაბრუნებაზე იფიქროო. ახლა იწყება ნაციონალური მოძრაობები, ვიცით, ამ ნაციონალიზმს გადაჭარბებულად რა მოაქვს და არ გვინდა, რომ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეთ თქვენ, ჩვენი აფხაზებიო. მამაჩემმა კატეგორიული უარი თქვა გადასვლაზე, რადგან ჩვენ მეოთხე მუჰაჯირობას ვერ ავიტანდით. აქ არის ჩვენი

(წინაპრების) საფლავები, აქ არის მამაჩემის, ბაბუაჩემის და დიდი ბაბუის საფლავები. მე-6 თაობა აქ ვართ“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).

აფხაზეთში მიმდინარე ამბებმა და მანამდე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დაწყებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა უარყოფითი გავლენა იქონია ბათუმში, ერთმანეთის გვერდი-გვერდ მცხოვრებ აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობაზეც.

„ბათუმი ისედაც ცნობილი იყო და არის მულტიკულტურულობით. საბჭოთა დროს, შაბათ-კვირას, როცა არავინ არ მუშაობდა, მამაკაცები დილით გამოდიოდნენ უბანში, ერთად იკრიბებოდა ყველა, არავის აინტერესებდა ეთნიკური საკითხები, მაგრამ ომის დროს და შემდგომ, რატომღაც, ჩვენმა ქართველმა მეზობლებმა ცალკე დაიწყეს შეკრება“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).

მართალია, აფხაზეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის ფონზე აჭარაში მცხოვრები აფხაზების მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო, რაც აფხაზების გარიყვის მცდელობებსა და თავად აფხაზების მხრიდან თავიანთი იდენტობის არააფიშირებაში გამოიხატებოდა, თუმცა **რესპონდენტებმა ვერ გაიხსენეს ეთნიკური ნიშნით სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები, რაც ახსნეს რამდენიმე ფაქტორით: ა) მჭიდრო კავშირების (ნათესაური, მეგობრული) არსებობა აფხაზებსა და ქართველებს შორის და ბ) რეგიონში არსებული პოლიტიკური კონტექსტი.** რეგიონის პოლიტიკური მმართველობა ცენტრალური ხელისუფლების ქმედებებისგან დისტანცირებული იყო.

იმის მიუხედავად, რომ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება არ ყოფილა, კვლევაში მონაწილე უფროსი ასაკის რესპონდენტებს ახსოვთ ომის პერიოდში მომხდარი უსიამოვნო ამბები. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს:

„1991 წელს, ჩვენი უბნიდან საბჭოთა ჯარები რომ გავიდა, მათ ნაცვლად ჩვენი, ქართული ქვედანაყოფი დაბინავდა. ომი უკვე დასრულებული იყო, 1995 წელი იყო, თუ არ ვცდები, და იქ, სადაც აფხაზები კომპაქტურად ცხოვრობდნენ, ჯარისკაცები ვარჯიშის დროს გაჰყვიროდნენ - „ჩვენი მტრები აფხაზები“. იმდენად ცუდად ჟღერდა, იმდენად მტკივნეული იყო... აფხაზებს არ უთქვამთ არაფერი, მაინც თავს იკავებდნენ პროვოკაციისგან. ჩვენი ქართველი მეზობლებიდან წავიდა 2-3 კაცი და გააფრთხილეს, რომ უბანში აფხაზები ცხოვრობენ და არ ეყვირათ. მეორედ უკვე აღარ მომხდარა იგივე“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).

იმ პერიოდში აფხაზების შესახებ ნეგატიური ინფორმაცია მასმედიის, ძირითადად კი ტელევიზიის, საშუალებით ვრცელდებოდა – *„ტელევიზიით მოსმენილი ინფორმაცია ნამდვილად არ უწყობდა ხელს ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნებას. ვფიქრობ, რომ ჩვენი მშობლები ბრძენი ადამიანები აღმოჩნდნენ. გაუძლეს წნეხს და არ წავიდნენ, დარჩნენ აჭარაში“.* ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კონფლიქტის პერიოდში თავს იკავებდნენ თბილისში წასვლისგან, რადგან ფიქრობდნენ, რომ ეთნიკური წარმომავლობის გამო, შესაძლოა, საფრთხე შეჰქმნოდათ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა გაზეთში მუშაობის დროს მომზადებულ კრიტიკულ მასალაზე თავისი აფხაზური სახელი და გვარი არ მიუთითა, მკითხველის გაღიზიანება რომ არ გამოეწვია. რესპონდენტების ცნობით, როგორც კონფლიქტის, ისე კონფლიქტის შემდგომ პერიოდში აჭარა აფხაზების მცირე რაოდენობამ დატოვა. რამდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც ახალგაზრდა აფხაზი კაცები ომში აფხაზების მხარეს საბრძოლველად წავიდნენ, თუმცა ამ ინფორმაციას კვლევაში მონაწილე რესპონდენტების მეორე ნაწილი უარყოფს.

დღესდღეობით აფხაზების შესახებ უარყოფითი შინაარსის ინფორმაცია და მოსაზრებები, ძირითადად, სოციალური მედიის საშუალებით ვრცელდება, რაც აფხაზი მუჰაჯირების წუხილს იწვევს.

> *„ერთი მხრივ, კარგია, რომ აფხაზების და აფხაზეთის შესახებ ინფორმაციას ვღებულობთ. მეორე მხრივ, კომენტარებს რომ ნახულობ, იქ არის უკვე კატასტროფა. კომენტარებში რომ დაწერს ადამიანი, „ღმერთმა ნუ ქნას, აჭარაში გამოჩნდნენ აფხაზებიო“, იქ უკვე ზედმეტია საუბარი და დისკუსია“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე საუბრისას რესპონდენტების ერთი ნაწილი აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ტრავმული გამოცდილებების შესახებ ჰყვება – *„დღესაც ოჯახი არ არსებობს აფხაზეთში, რომლის სახლშიც პორტრეტები არ კიდია მამის, ძმის, ბიძის. ეს დიდი ტკივილია მათთვის“ (ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).* **რესპონდენტის შეფასებით, საქართველოს მოსახლეობამ არაფერი ან ძალიან ცოტა იცის აფხაზების ომის გამოცდილებებზე.**

რესპონდენტების ერთი ნაწილის ინფორმაციით, აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლების გარკვეული ნაწილი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში გადავიდა საცხოვრებლად აფხაზეთში. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე აფხაზეთში შეიქმნა რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ამოცანა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები დიასპორის აფხაზეთში დაბრუნების წახალისებაა. კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტის ნათესავი ოჯახი ომის შემდგომ გადავიდა აფხაზეთში საცხოვრებლად. გადასვლის მთავარი მიზეზი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი, ხოლო მიზანი საბინაო პირობების გაუმჯობესება იყო.

> *„ჩემს ნათესავებს აქ ძალიან უჭირდათ და უფრო ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოუწიათ იქ გადასვლა. რადგან აფხაზეთში აქედან ჩასულებს, ვიცით, რომ საცხოვრებელს აძლევდნენ“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).*

რესპონდენტებმა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის კონტექსტში ქალთა კლუბ „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ როლის შესახებ ისაუბრეს, რომელიც ბათუმში 1992 წლის 19 სექტემბერს დაარსდა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდიდან მოყოლებული ჰუმანიტარული საქმიანობით არის დაკავებული. დღეს ორგანიზაციის ინიციატივით იმართება სხვადასხვა შემეცნებითი და კულტურული ღონისძიება, რომელზეც სახელოვან ადამიანებს იწვევენ ქართულ-აფხაზურ საკითხებზე სასაუბროდ – *„ბატონი გურამ ოდიშარია ხშირად ჩამოდის და ჩვენ ვაწყობთ მისი წიგნების პრეზენტაციებს. ის არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მთავარი გულშემატკივარი“ (55+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).* ორგანიზაციის ინიციატივითა და აქტიურობით: ა) ბათუმის ცენტრალურ ქუჩას ეწოდა ჟიული შარტავას სახელი; ბ) მოეწყო პროფესორ ფერიდე აცამბას სახლ-მუზეუმი, გ) ფერიის საჯარო სკოლაში დაარსდა აფხაზური ენის საკვირაო სკოლა და ა.შ.

კავშირები აფხაზეთთან

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ **აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები და აფხაზეთში მცხოვრები მათი ნათესავები მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებენ ერთმანეთთან, თუმცა ერიდებიან ურთიერთობის საჯაროდ აფიშირებას.** მაგალითად, სოციალურ მედიაში არ აქვეყნებენ ერთად გადაღებულ ფოტოსურათებს. ხოლო დისტანციური ურთიერთობისას სიფრთხილეს იჩენენ და ზოგიერთ თემას არ ეხებიან (მაგ: მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს, უკრაინაში შეიარაღებულ კონფლიქტს და ა.შ.). სიფრთხილის მთავარი მიზეზი ურთიერთობისას დაძაბულობის თავიდან არიდებაა.

კვლევისთვის საინტერესო იყო ურთიერთობის ხასიათის დადგენა. კერძოდ, რა საკითხებს განიხილავენ ერთმანეთში და არსებობს თუ არა ისეთი თემები, რომლებსაც ურთიერთობისას არ

ეხებიან. როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, განსახილველი თემები უმეტესად პირად საკითხებს შეეხება, ხოლო **აფხაზეთის სტატუსი და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები (აფხაზეთში აღნიშნულ კონფლიქტს სამამულო ომს უწოდებენ) ის საკითხებია, რომლებზეც საუბრისგანაც თავს იკავებენ.** აფხაზეთის მცხოვრებლებისთვის დამოუკიდებლობა ომის მთავარ მონაპოვრად მიიჩნევა და ამდენად, მისი ეჭვქვეშ დაყენება ძალზე მგრძნობიარე საკითხია. **საუბარს თავს არ არიდებენ, თუმცა ძალიან აღელვებთ უსაფრთხოების საკითხი, რადგან აფხაზეთში მუდმივად არსებობს ომის განახლების მოლოდინი.**

ერთ-ერთმა რესპონდენტმა სოხუმში ვიზიტი გაიხსენა და იქ მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ ისაუბრა. როგორც რესპონდენტი ამბობს, **სოხუმში ქართულ ენაზე საუბრისგან თავს იკავებდნენ, რადგან ქართული ლაპარაკის მოსმენა აფხაზებისთვის უსიამოვნოა** – *„იქ დაბადებიდანვე უნერგავენ, რომ აფხაზებისთვის ქართველები მტრები არიან“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).* სოხუმში ყოფნისას რესპონდენტისთვის თვალშისაცემი იყო, რომ **აფხაზური ენა საჯარო სივრცეში თითქმის არ გამოიყენება** – *„რუსული ენა მთავარია ყველგან – უნივერსიტეტში, რესტორნებში და ა.შ. აფხაზურად ოჯახებში საუბრობენ მხოლოდ“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).* აფხაზეთში ეთნიკურ კუთვნილებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა – *„მეკითხებოდნენ, დედა აფხაზი რატომ არ არისო? მათთვის პრიორიტეტულია, რომ აფხაზი ორივე მშობელი იყოს“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).* რესპონდენტს არაერთხელ მიუღია აფხაზეთში საცხოვრებლად გადასვლის შეთავაზება – *„ჩამოდი აქ საცხოვრებლად, სახლს მოგცემენ. აქ უფრო კარგი არის, აფხაზს გაჰყევი ცოლადო“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი).* **აფხაზეთში უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ მუჰაჯირების შთამომავლები აჭარიდან არ გადადიან აფხაზეთში საცხოვრებლად.**

> *„საყვედურის ტონით ამბობენ, როგორც იქნა, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და რატომ არ ბრუნდებითო“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).*
>
> *„მეკითხებიან, თუ ყველანი არ დაბრუნდებით, ჩვენ როგორ განვვითარდებითო? ჩემი პასუხია – მე აქ (აჭარაში) ქმარი დავმარხე. აქ შვილების ოჯახები მყავს. აფხაზური თავადური გვარის წარმომადგენლები არ დაბრუნდნენ-მეთქი“ (55+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).*

სამშვიდობო დიალოგის პროექტის მონაწილე ერთ-ერთი ახალგაზრდა აფხაზეთში თანატოლებთან ურთიერთობას დღემდე ინარჩუნებს. საგულისხმოა ის, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ, ომის მიზეზების შესახებ განსხვავებული შეფასებების გამო, ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა დროებით გართულდა.

> *„ომის მიმდინარეობის პერიოდში ხშირად იდებოდა რუსეთის მხარდამჭერი „სთორები“ ფეისბუკზე, რაც მაღიზიანებდა, მქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი. თუმცა შევთანხმდით, რომ ჩვენი მიზანი ურთიერთობის მოგვარებაა და არა პირიქით, მისი გამწვავება“ (ქალი; 18-35 ასაკობრივი ჯგუფი).*

მშვიდობის სამომავლო პერსპექტივები

კვლევაში მონაწილე რამდენიმე რესპონდენტი აქტიურადაა ჩართული აფხაზურ-ქართული დიალოგის ფორმატში, რომელშიც ქართველი და აფხაზეთში მცხოვრები აფხაზი ახალგაზრდებიც მონაწილეობენ. შეხვედრების მიზანი არსებული გაუცხოების შემცირებაა, ახალგაზრდების გაცნობითა და ერთმანეთისთვის პირადი გამოცდილებების გაზიარებით. პროექტის მონაწილე ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ **საქართველოს ახალგაზრდებმა, პრაქტიკულად, არაფერი იციან აფხაზურ-ქართული კონფლიქტების მიზეზებისა და შედეგების შესახებ. საქართველოში მუდმივად ხდება ტერიტორიაზე აპელირება, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, მაგრამ**

აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებზე არავინ საუბრობს. განსხვავებულია აფხაზეთში აფხაზი ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე, რადგან, როგორც აღინიშნა, ომთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად აქტუალურია – *„იქ რომ ვიყავი, საინფორმაციო გადაცემაში ომის ამბებს ატრიალებდნენ, იმის მიუხედავად, რომ კონკრეტულ მომენტში განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა“ (18-35 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).*

აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდგომ მშვიდობის დიალოგის ფორმატში შეხვედრები არ გამართულა. შეხვედრები აფხაზურ-ქართული დიალოგის ფორმატის ფარგლებში COVID-19-ის პანდემიისა და შემდგომ პერიოდებში დისტანციურად იმართებოდა, ხოლო მანამდე შეხვედრების ადგილი სომხეთი ან თურქეთი იყო.

კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე საუბრისას რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ კულტურულ, საგანმანათლებლო და სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელობაზე.

> *„უპირველეს ყოვლისა, ადამიანების დაახლოებაა საჭირო; ერთობლივი საქმიანობა და სავაჭრო ურთიერთობების ქონა არის გზა იმისკენ, რომ შესაძლებელი იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა ამ ორი გახლეჩილი საზოგადოებისა“ (აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალი ქალი; 36-55 ასაკობრივი ჯგუფი).*

რესპონდენტები დადებითად აფასებენ სახელმწიფოს საქმიანობას, რომელიც აფხაზეთის მცხოვრებლებს უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს. ამ პროცესში ჩართულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. მათ შორის დასახელდა „ასოციაცია მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია[5]" (ამსკ), რომელიც პაციენტებისთვის ადმინისტრაციულ საკითხებს (დოკუმენტაციას, განთავსებას და ა.შ.) აგვარებს. მნიშვნელოვანია აჭარაში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების როლიც, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, აფხაზ პაციენტებს ეხმარებიან.

> *„ახლახან ჩამოყვანილი ჰყავდა ოჯახს 21 წლის სიმსივნის დიაგნოზის მქონე გოგონა. საქართველოში პირველად იყო, აბსოლუტურად არავინ არ ჰყავდა. ჩვენი კლუბის წევრმა სახლში დაიტოვა 1 კვირით. ოპერაციის შემდეგ ვნახეთ ჩვენი კლუბის წევრის ბიძაშვილი, რომელსაც აქვს სასტუმროს ტიპის სახლი და სრულიად უფასოდ იცხოვრა 2 თვე“ (55+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი ქალი).*

რესპონდენტების ინფორმაციით, აფხაზეთის საზოგადოების დიდ ნაწილს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს აფხაზების საქართველოში მკურნალობის მიმართ, რადგან ადგილზე შესაბამისი სამედიცინო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა არ არსებობს, რის გამოც ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას ვერ იღებენ.

რესპონდენტების ერთი ნაწილის შეფასებით, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის პროცესში აუცილებელია ახალგაზრდების ჩართულობა, რადგან ნაკლებად არიან ომის ტრავმული გამოცდილებებით დამძიმებულნი და ამდენად, მათში მეტი მზაობა არსებობს კომპრომისული გადაწყვეტილებების მისაღებად. რესპონდენტების მეორე ნაწილის აზრით, საქართველოს ახალგაზრდების მხრიდან აფხაზეთით დაუინტერესებლობა, მეორე მხრივ კი, აფხაზეთის ახალგაზრდების დეზინფორმირებულობა არ ქმნის მშვიდობიანი და თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბების წინაპირობას.

დასკვნა

[5] □□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□ – http://apbc.ge/index.php/ka/

აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლების იდენტობა – ენა, მეხსიერება და ტრადიციები – ყველაზე უკეთ იმ ოჯახებშია შემონახული, სადაც აფხაზი ეროვნების ცოლ-ქმარი და უფროსი თაობის (ბებია, ბაბუა) წარმომადგენლები ცხოვრობენ, ხოლო ნაკლებად – შერეულ ოჯახებში. დღეს აფხაზი მუჰაჯირების მემკვიდრეობას სხვადასხვა სოციალური და კულტურული მახასიათებელი აქვს და ვლინდება ისლამის შენარჩუნებაში, მუჰაჯირი წინაპრების ხსოვნისადმი პატივისცემაში, სხვა ქვეყნებში მცხოვრებ აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლებთან კავშირების შენარჩუნებაში, აფხაზური კულინარიული ტრადიციების დაცვაში და ა.შ. მუჰაჯირების ზოგიერთი ტრადიცია (ფოლკლორი, სტუმართ-მასპინძლობის წესი და ა.შ.) სხვადასხვა მიზეზის გამო დაიკარგა. რესპონდენტები აფხაზური კულტურის ცენტრის დაარსების საჭიროებას ხედავენ ბათუმში, სადაც წარმოდგენილი იქნება აფხაზი მუჰაჯირების ისტორია, კულტურა და ტრადიციები. ამასთანავე, სივრცე გამოყენებული იქნება სხვადასხვა შინაარსის ღონისძიების (კულტურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო და ა.შ.) გასამართად, რაშიც აქტიურ მონაწილეობას ახალგაზრდები მიიღებენ. მუჰაჯირობის შესახებ არაინფორმირებულობა აფხაზი ახალგაზრდების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, იმის გათვალისწინებით, რომ მუჰაჯირობის კოლექტიური მეხსიერების დაკარგვის საფრთხე რეალურია. აფხაზური კულტურის ცენტრი იქცევა ადგილად, სადაც ქართულ-აფხაზურ დიალოგს შეეწყობა ხელი. კვლევამ გამოავლინა აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლების სხვა კულტურული და საგანმანათლებლო საჭიროებებიც – აფხაზი მუჰაჯირების ხსოვნის უკვდავსაყოფად ბათუმში მემორიალის დადგმა; ფოტოალბომის მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მუჰაჯირობის 160-წლიანი ისტორიის ფოტომასალა და ცნობარის შექმნა აფხაზური გვარების ისტორიის შესახებ.

ერთ-ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროება აფხაზური ენის შენარჩუნებას შეეხება. მართალია, ფერიის საჯარო სკოლაში აფხაზური ენის შესწავლის შესაძლებლობა არსებობს, თუმცა არასაკმარისია. აფხაზური ენის სწავლის უფლება საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული, ამდენად, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, ხელი შეუწყოს აფხაზური ენის პოპულარიზაციას. კერძოდ, საჭიროა აფხაზური ენის მასწავლებლების მომზადება და აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა.

აფხაზები აჭარის რეგიონის საზოგადოებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ. ასევე, წარმოდგენილნი არიან სახელმწიფო საჯარო სამსახურებში, თუმცა აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლებს პოლიტიკური პოზიციებზე არ უმუშავიათ. მიზეზებს შორის დასახელდა მოტივაციის ნაკლებობა თემში, აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლების მცირე რაოდენობა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან აფხაზი მუჰაჯირების მიმართ ინტერესის არქონა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში აფხაზი მუჰაჯირების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ასევე, აინტერესებთ საქართველოს სახელმწიფოს როლი აფხაზური კულტურის შენარჩუნების თვალსაზრისით და აფხაზების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცულობა.

1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა იქონია აჭარაში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლებზე, რაც გამოიხატებოდა თემის წევრებსა და ქართველებს შორის გაუცხოებასა და საკუთარი იდენტობის არააფიშირებაში. რესპონდენტებს იმ პერიოდის უსიამოვნო გამოცდილება ახსოვთ, თუმცა თავად ან მათ ახლობლებს არ ჰქონიათ ეთნიკური ნიშნით სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები.

აფხაზეთში მცხოვრებ ნათესავებთან მჭიდრო ურთიერთობა შენარჩუნებულია. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები ის საკითხებია, რომელთა შესახებ საუბრისგან თავს იკავებენ. რესპონდენტები დადებითად აფასებენ სახელმწიფოს ინიციატივას, რომელიც აფხაზეთის მცხოვრებლებს უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის

შესაძლებლობას აძლევს. კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციაში კულტურული, საგანმანათლებლო და სავაჭრო ურთიერთობები იგულისხმება. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის პროცესში მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა, რადგან ისინი ნაკლებად არიან დამძიმებულნი ომის ტრავმული გამოცდილებით და, ამდენად, მათში კომპრომისების მეტი მზაობა არსებობს.

რეკომენდაციები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიმართ

- აფხაზური კულტურის სივრცის დაარსება, სადაც წარმოდგენილი იქნება აფხაზი მუჰაჯირობის ისტორია და კულტურა. ამავდროულად, სივრცე გამოყენებული იქნება სხვადასხვა ღონისძიების (კულტურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო და ა.შ.) გასამართად;
- აფხაზური ენის სწავლების უფრო მეტად ხელშეწყობა (აფხაზური ენის მასწავლებლების მომზადება, აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოების შემუშავება და ა.შ.);
- აფხაზი მუჰაჯირების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის დადგმა ბათუმში;
- სახელმწიფომ დაინახოს აჭარაში მცხოვრები აფხაზების როლი და მნიშვნელობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პოლიტიკაში და ხელი შეუწყოს მათი ხილვადობისა და მონაწილეობის გაზრდას;
- სახელმწიფომ წაახალისოს აჭარაში აფხაზი თემის პოლიტიკური რეპრეზენტაცია და მონაწილეობა და მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებასთან საკონსულტაციო პროცესებში დაინახოს ეს თემი.